1916

სასპორტო ფურცელი

ნურათეზიანი დამატება
გაზეთის № 486

დამატების № 87

კვირა, 25 იანვარი 1916 წ.

2804



აკაკი

(გარეცხილები, ერთის წლის თავის ფესტივალების გამო).

აკაკი წერეთელი









შენ სიყმაწვილეს ჩემსასა ჰგებიხარ...

მე შენ მიყვარხარ და იცი რადა?
რომ თავის ჭკვაზე ბედს არ დაჰყოხარ,
რომ ჯერ არ იცნობ ცხოვრებას მთლადა—
რომ სიყმაწვილეს ჩემსასა ჰგეხარ!
ლაღობ, კისკასობ თავისუფალი,
ყველას ჰფენ ნათელს—ცხოველი მზე ხარ,
შენ-კი ქვეყნის შემნატრი თვალი—
შენ სიყმაწვილეს ჩემსასა ჰგეხარ!
აი, მზათა ვარ მუხლთ მოგიყარო,
გითხრა: მიყვარხარ, შვენების წყარო,
მაგრამ გვერდს მიხვევ... სიმაყე ხარ—
შენ სიყმაწვილეს ჩემსასა ჰგეხარ!

ი. მუხლიშვილი.

სხვა დროს

დაბალი ლოგე (სურათი ალ. მრევლიშვილისა).

ილ. ბაგბაგაძე.

დავით გურამიშვილი.

ხეზე ამოჭრილი დუშ. ფალავანდიშვილის.

უკანასკნელი წამი

(თარგმანი)

დაკრილი აფიცერი, რომელსაც უკვე უმთელდებოდა ჭრილობა, აჯვიწერად იმ საშინელ მდგომარეობას, რომელსაც განიცდის ადამიანი სიკვდილის წინა წამებაში.

— მხოლოდ მაშინ, როდესაც სდგებარ მტრის პირდაპირ, როდესაც ყოველ წამში სიკვდილს მოელი და ძარღვები დაჭიმული გაქვს, მაშინ თვალწინ გეცხატება მთელი შენი წარსული ცხოვრება. მხოლოდ მაშინ იწყებ იმის დათვალებას, თუ რა ძვირფასი, მშვენიერია სიცოცხლე. ჯერ რაღაც ბურუსში ხარ გახვეული, შემდეგ თანდათან ირკვევი და ნათლად გრძნობ სიცოცხლის მშვენიერებას და ფიქრობ: მე ხომ ჯერ სრულად არ მიცხოვრია, ჯერ ხომ სავსებით არ შემიგნია სიცოცხლის მნიშვნელობა? თქვენ არ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, თუ რა ნათელია ყველაფერი ეს ადამიანისთვის სიკვდილის წინა წამებში. ხოლო საკვირველია, რომ თუმც ამ დროს საშინლად გეღვიძება სიყვარული სიცოცხლისა, მაგრამ იმავე დროს ის სიცოცხლე, რომლითაც სცოცხლობდი მანამდის, სრულებით აღარ გენანებათ. იგი სიცოცხლე მეტად უშინაარსო და უფერულია შენთვის... გინდა, ეს შენი სიცოცხლე მიახალო მტერს პირში, რომელსაც თავისი გაუმაძღარი და მხეცური ხელები შენსკენ აქვს გამოწვდილი, და მთელი თავისი არსებით სწადია გამოგტაცოს ის, რის დაბრუნებაც არავითარ ძალას არ შეუძლია...

აი, ამ დროს შენში იღვიძებს სიმამაცე; გრძნობ, რომ იქ, შენს იქით, ურიცხვი ადამიანია რომელთაც ჯერ არ უცხოვრიათ, მხოლოდ სიცოცხლე კი ფრიად სწყურიათ.

რას ნიშნავს ამასთან შედარებით შენი უფერული, უშინაარსო და პატარა სიცოცხლე?.. მადლობა ღმერთს, შენი სიცოცხლე წავიდა, დარჩა საღღაც უკან შორს... შორს შენ წინ ახლა სულ სხვაა... რა არის სიკვდილი?—წინ ყოველთვის სიცოცხლეა, რაღაც ახალი ცხოვრება... ამ დროს გებადება სურვილი, გაიქანო მტრის ტყვიისკენ და მამაცურად შეხვდე სიკვდილს.

— იმ ბრძოლაში, სადაც მე დამჭრეს, ჩემს ამხანაგს ტყვიამ გულში გაუარა. უცებ წაიქცა და როდესაც მივვარდი და დავხედე, სულთა ბრძოლაში იყო და მხოლოდ რამოდენიმე წუთიღა დარჩენოდა.

გულახდილად მოგახსენებთ, რომ ჩემი საქციელი მეტად მკაცრი და შეუწყნარებელი იყო, მაგრამ, რადგანაც ჩემთვის მეტად ძვირფასი იყო მისი ღრმა შეხედულება სიცოცხლის შესახებ და რადგან იგი სამუდამოდ ესალმებოდა წუთის სოფელს, გამიტაცა ცნობის მოყვარეობამ და ვკითხე.

. . . აბა მითხარი, რას გრძნობ ეხლა ფიზიკურ ტანჯვის მეტს? შეიძლება კიდეც ნაღვლობ რასმე!

დამშვიდებით შემომხედა და მიპასუხა... ასე...უნდა, ასე... მე... მე ეხლა ვგრძნობ სრულს ბედნიერებას.

ეს წარმოსთქვა წყნარად და გარკვევით. შემდეგ მიყურდა და თვალები დახუჭა.

— გათავდა, ვსთქვი.

მაგრამ დააცმაცურა დალურჯებული ტუჩები და ძლივს გასაგონი ხმით წამოიღღღღღ.

— ვნაღლობ... მხოლოდ ერთს... ვერ გავიგებ, ვერ დავინახავ, თუ როგორ იცოცხლებთ თქვენ ცოცხლები აქ ამ სოფელს... გა..გა..ნა.ხლე.ბულნ... ამოიკვნესა გაგმირული გულდან, გაიშიმ, როგორც სიმი და განუტეხა სული.

მ. ჯ—ძე.

მ. ბაკურაძე მამასახლისოზიდან გადაყვანების მოლოდინში.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩა. სტამბა „ᲬᲘᲠᲝᲑᲐ“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ᲯᲝᲜᲯᲣᲐᲫᲔ.